



სტრასბურგის სასამართლო საქართველოს მთავრობას ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაკავებისათვის აკრიტიკებს - ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის შედეგები

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 2 აგვისტო

წინამდებარე სტატია, რომლის ავტორია “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის” (EHRAC) დირექტორი, პროფესორი ფილიპ ლიჩი, 2016 წლის 2 აგვისტოს გამოქვეყნდა “საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალის” ბლოგზე. ფილიპ ლიჩი, იურისტ ოთარ კახიძესთან (იურიდიული ფირმა BGI Legal) ერთად იცავდა ვანო მერაბიშვილის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

2013 წლის დეკემბერში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი გვიან ღამით, ქ.თბილისში მდებარე ციხის საკნიდან გაიყვანეს, თავზე ქურთუკი ჩამოაცვეს, მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. იგი აღმოჩნდა მთავარი პროკურორისა და პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირისპირ, რომელთაც მერაბიშვილს შესთავაზეს “გარიგება”, ხოლო სანაცვლოდ მოითხოვეს ინფორმაცია 2005 წელს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ და იმ საიდუმლო ოფშორული საბანკო ანგარიშების თაობაზე, რომელთაც, მათი მტკიცებით, ფლობდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

მერაბიშვილმა უარი განაცხადა გარიგებაზე, ხოლო მოსმენილი “კონსპირაციულ თეორიად” და “სისულელედ” შეაფასა. მთავარმა პროკურორმა მერაბიშვილს განუცხადა, რომ მისი დაკავების პირობები გაუარესდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლობაზე უარს იტყვოდა. ევროპული სასამართლოს წინაშე მერაბიშვილმა განაცხადა, რომ “გარიგების” სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ განთავისუფლებას და ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრების გარანტიას აძლვდნენ.

ინციდენტიდან სამ დღეში მერაბიშვილი წარსდგა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე, სადაც მან მომხდარის შესახებ განაცხადა. პრემიერ-მინისტრმა, სასჯლადსრულებების მინისტრმა და მთავარმა პროკურორმა მაშინვე უარყვეს ბრალდებები და განაცხადეს, რომ გამოძიების საჭიროება არ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, 14 ივნისს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ვროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანმა ინციდენტი “სანდოდ და დამაჯერებლად” აღწერა და აღნიშნულის საფუძველზე დაადგინა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა, რითაც სასამართლომ საქართველოს მიმართ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება. მსგავსი ვერდიქტი საქართველოს მიმართ პირველად იქნა გამოტანილი.



მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში “ქართულმა ოცნებამ” გაიმარჯვა, ყოფილი მმართველი პარტიის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილი არაერთი ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული. საბოლოოდ, 2014 წლის თბერვალში მერაბიშვილის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. იგი დამნაშავედ ცნეს სხვადასხვა ბრალდებით, მათ შორის ამომრჩეველთა მოსყიდვასა და ქონების არამიზნობრივად განკარგვაში, და ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მან 2013 წელს ევროპულ სასამართლოს მიმართა უკანონო წინასწარ პატიმრობასთან (და არა მსჯავრდებასთან) დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ წინასწარი პატიმრობა ეყრდნობოდა მერაბიშვილის მიერ საჯარო თანამდებობაზე ყოფნისას ჩადენილი დანაშაულებების შესახებ გონივრულ ეჭვს. ამავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურამ წინასწარი პატიმრობა გამოიყენა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების გამოძიებასთან და ყოფილი პრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის მოკვლევასთან დაკავშირებით ბერკეტის მოსაპოვებლად. აღნიშნული ორივე მიზანი კი “ყოვლად შეუსაბამოა”. სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა, საქართველოს მთავრობისთვის შეეხსენებინა, რომ დაუშვებელია დაკავების შესაძლებლობის გამოყენება ბრალდებულზე მორალური ზეწოლის განსახორციელებლად და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრი, სასჯელადსრულების მინისტრი და მთავარი პროკურორი “მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ” 2013 წლის დეკემბერში მომხდარი ინცინდენტის ობიექტურ და სრულყოფილ გამოძიებას.

მე-18 მუხლი ევროპული კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი დებულებაა, რომლის თანახმადაც “ხსენებულ უფლებათა და თავსუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.” არსებითად, აღნიშნული მუხლი სახელმწიფოებს არ აძლევს უფლებების შეზღუდვის საშუალებას “ფარული მიზნებისათვის” და როგორც წესი, გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, სადაც ხლისუფლებას “პოლიტიკურ დევნაში” ედება ბრალი.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის შემთხვევები უაღრესად იშვიათია, ვინაიდან ადვილი არ არის პროკურატურის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამტკიცება. ხსენებული დებულების დარღვევის დასამტკიცებლად სასამართლო ადგნს “მტკიცების უაღრესად მკაცრ სტანდარტს”:

[...] მომჩივნის მტკიცება, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები შეზღუდული იყო უკანონო მიზნებისთვის, უნდა დამაჯერებლად აჩვენებდეს, რომ ხელისუფალთა რეალური მიზეზი არ იყო იგივე, რასაც ისინი აცხადებდნენ, ან რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება



გონივრულად დაასკვნა. უბრალო ეჭვი, რომ თანამდებობის პირებმა გამოიყენეს თავიანთი ძალები რაიმე სხვა მიზნებისთვის ვიდრე იმისა, რაც განმარტებულია კონვენციაში, არ იყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მე-18 მუხლი დაირღვა.”

მაგალითად, საქმეში “ხადარკოვსკი რუსთის წინააღმდეგ” ნავთობკომპანია “იუკოსის” სამთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრი და მსხვილი აქციონერი მიხეილ ხადარკოვსკი კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე აცხადებდა, რომ მისი დაპატიმრება, დაკავება და სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად იყო მოტივირებული, რაც სასამართლოს მიერ 2011 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ იქნა გაზიარებული. სასამართლო აღიარებდა, რომ ხადარკოვსკის საქმე “გარკვეულ ეჭვებს” წარმოშობდა, თუმცა არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმები იმთავითვე ბოროტად იქნა გამოყენებული. სასამართლომ 2013 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში კვლავ არ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა ბატონი ხადარკოვსკისა და მისი ბიზნეს-პარტნიორის პლატონ ლებედვის წინააღმდეგ. კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ “მომჩივნების წინააღმდეგ ბრალდებები სერიოზულია, ხოლო მათ წინააღმდეგ აღძრულ საქმეს “ჯანსაღი ბირთვი” გააჩნია. მაშინაც კი, თუ მათ სამართლებრივ დევნას ორმაგი განზრახვა ედო საფუძველად, აღნიშნული [მომჩივნებს] არ ათავისუფლებდა ბრალდებებზე პასუხის გაცემის ვალდებულებისაგან.”

მეორეს მხრივ, უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ და უკრაინის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ წარმატებით შეძლეს მე-18 მუხლის გამოყენება. უკრაინაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში დასდეს ბრალი და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი საქმე აღიძრა. სასამართლომ დაადგინა, რომ მერაბიშვილის საქმის კონტექსტი “უდაოდ ჰგავდა” აღნიშნულ ორ უკრაინულ საქმეს. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ აზერბაიჯანში ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ილგარ მამადოვის წინააღმდეგ აღძრული საქმე ემსახურებოდა მისი გაჩუმების ან დასჯის მიზანს, მთავრობის კრიტიკის გამო. 2016 წლის მარტში სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება გამოიტანა ადამიანის უფლებების დამცველის რასულ ჯაფაროვის საქმეში.

ვანო მერაბიშვილის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფართო კონტექსტი. არაერთმა საერთაშორისო დამკვირვებელმა, მათ შორის სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოხატეს შეშფოთება მერაბიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შესაძლო უკანონო პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში აგრეთვე აღნიშნული იყო ევროპის საბჭოს, ეუთოს და ევროპარლამენტის მიერ გამოთქმული



შემფოთება “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” იმ არაერთი ხელმძღვანელი პირის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, რომლებიც წინა მთავრობაში მსახურობდნენ.

რა შედეგები მოჰყვება აღნიშნულ გადაწყვეტილებას? იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მაშინვე დაადასტურა, რომ მოხდება 2013 წელს მომხდარი ინციდენტის გამოძიება. გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებით საქართველოში ინტენსიური განხილვები მიმდინარეობს - მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილი საბოლოოდ დამნაშავედ იქნა ცნობილი, იძლევა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის მთლიან პროცესში ექვსი შეტანის საფუძველს? მიანიშნებს თუ არა იგი გამოძიების განახლების ან მერაბიშვილის განთავისუფლების საჭიროებაზე? ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიტიკური ოპონენტების ამგვარი მოპყრობა უარყოფითად აისახება საქართველოს, როგორც დემოკრატიული და კანონის უზენაესობის დამცველი სახელმწიფოს იმიჯზე. სასამართლოს გადაწყვეტილება მიუთითებს იმას, რომ სრულად ფუნქციონირებადი დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და საზოგადოებრივი ნდობის აღსადგენად დაუყოვნებლივ საჭიროა სასამართლო სისტემაში შემდგომი სისტემური რეფორმების გატარება.